



ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს

წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი”

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის” რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 02-02/13

ქ. თბილისი

02. 02. 2012

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ
უნივერსიტეტში” 2011-2012 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში
მოზილობის ვადებისა და წარმოსადგენი საბუთების ნუსხის დადგენის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის” მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა-გ“ ქვეპუნქტების, ”მოზილობის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2012 წლის 24 იანვრის №84 ბრძანების, ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის” წესდების მე-6 მუხლის; ამავე უნივერსიტეტის დებულების მე-10.4 პუნქტის; ამავე უნივერსიტეტის „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის” VI თავის 1 - 3 მუხლების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. 2011-2012 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში მოზილობის პროცესის განსახორციელებლად განისაზღვროს შემდეგი ვადები:
 - 1.1. მოზილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა რეგისტრაცია (საბუთების მიღება) - 2012 წლის 16 - 17 თებერვალი;
 - 1.2. გადმოსვლის მსურველთათვის კრედიტების აღიარება - 2012 წლის 18 - 20 თებერვალი;
 - 1.3. სტუდენტების ინფორმირება აღიარებული კრედიტების თაობაზე - 2012 წლის 21 თებერვალი;

- 1.4. მობილობის ფარგლებში გადმოყვანის წესით ჩარიცხვის ბრძანების პროექტის მომზადება და წარდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში - 2012 წლის 22 თებერვალი;
2. დადგინდეს მობილობის წესით გადმოსვლის მსურველთა დასარეგისტრირებლად წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დამოწმებული):
 - 2.1. სრული ზოგადი/უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
 - 2.2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის/პასპორტის ასლი;
 - 2.3. გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული სერთიფიკატის ასლი;
 - 2.4. სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ვაჟებმა);
 - 2.5. სტუდენტის სტატუსის განმსაზღვრელი ყველა სამართლებრივი აქტის ასლი ან ამონაწერი მისგან;
 - 2.6. სტუდენტის სასწავლო ბარათის ასლი ან ამონაწერი მისგან;
 - 2.7. უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის (არსებობის შემთხვევაში) ასლი;
3. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: საქმისწარმოებისა და სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის, ფიზიკა-მათემატიკურ და კომპიუტერულ მეცნიერებათა, სოციალურ მეცნიერებათა და სამართალმცოდნეობის სკოლების (ფაკულტეტების) დეკანატებს;
4. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე;
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი
პროფესორი



სერგო ვარდოსანიძე